ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 48 85
25/12/2018

85-48-4-201812251657

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07 თებერვლის №23 დადგენილების მოთხოვნების შესრულების, დასაფინანსებელი პროექტების პრიორიტეტული მიმართულებების უკეთ განსაზღვრის მიზნით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

მოწონებული იქნას რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ისიდორე ლომთაძეს.

მუხლი 3.

ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნას ცნობილი „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2018 წელს

დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ 2017 წლის 06 დეკემბრის №48 87 განკარგულება.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2018 წლის 25 დეკემბრის №48 85 განკარგულებით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტში

2019 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი:

1. ქ. ტყიბულში მრავალბინიანი კორპუსების შიდა ეზოების რეაბილიტაცია;

2. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია;

3. ქალაქის შიდა გზების ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაცია;

4. სოფლების შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობა;

5. სოფელ გელათში, მონასტერთან მისასვლელი ძველი გზის რეაბილიტაცია;

6. მრავალბინიანი კორპუსების ლიფტების რეაბილიტაცია;

7. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;

8. ხრესილის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია;

9. საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

ნატალია კობახიძე

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო